ხელშეკრულება N10.29/10/008
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **12 იანვარი 2024 წელი**

ერთის მხრივ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა ს.კ. 202171167**, მდებარე აკ. ბელიაშვილის ქ. №1(შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი რაიონის გამგებლის - **ვლადიმერ ძნელაძეს** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ მამუკა კეშელავა, ს.კ 62007000481,** მისამართი - თბილისი, ისნის რაიონში ვაზისუბნის II მ/რ, კორპ.1 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მამუკა კეშელავას** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საუფძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის და საუბნო განყოფილებების ოფისებში გათბობა-კონდიცირების, წყალმომარაგების (ცხელი წყლის) სისტემების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.

1.2 მომსახურებაში შედის:

- პროფილაქტიკური შემოწმება თვეში 2-ჯერ;
- ფილტრების გაწმენდა თვეში 2-ჯერ;
- ჩილერის გარე ბლოკის შემოწმება თვეში 2-ჯერ;
- საჭიროების შემთხვევაში ჩილერის პარამეტრების დარეგულირება;
- დაზიანების შემთხვევაში გამოძახება და მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება და ამ სამუშაოებისათვის საჭირო მცირეფასიანი სათადარიგო ნაწილების შეძენა სამივე ობიექტზე;
- დიდი მოცულობის დაზიანების შემთხვევაში დაზიანების მიზეზ(ებ)ის დადგენა და აღმოფხვრასთან დაკავშირებული სათანადო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

1.3 კლასიფიკატორის კოდი (CPV) (50700000 / 50730000) - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება / გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2. სახელშეკრულებო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4600,00 (ოთხი ათას ექვსასი ლარი და 00 თეთრი)** ლარი, ყველა გადასახადების ჩათვლით. ერთი სრული თვის მომსახურების ღიებულებაა **400 (ოთხასი) ლარი.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა **2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის 31** დეკემბრის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი :

- **ქ. თბილისი, აკ. ბელიაშვილის ქ. №1 - დიდუბის რაიონის ადმინისტრაციული შენობა;**
- **პაიჭაძის ქ. №1 -დიღმის საუბნო განყოფილების ოფისი;**
- **მირცხულავას ქ. №3ბ - დიდუბის საუბნო განყოფილების ოფისი.**

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია გამოძახებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გამოცხადდეს შემსყიდველ ორგანიზაციაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე **2025 წლის 31 იანვრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებელის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **თამარ მაისურაძე.**
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი იქნება სტანდარტებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში.
6.3 შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.4 თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს დეფექტების გამოსწორება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **თამარ მაისურაძე.**
7.2 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
7.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ანგარიშსწორების წესი

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 2024 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული იქნა საჯარიმო სანქცია, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

8.5 **წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.**

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხოდ შესრულებულ მომსახურების მიღებაზე.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების გამო დაკისრებული ჯარიმის ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
- თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

- თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- თუ მისთვი ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით

აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

14.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
დიდუბის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202171167
მის. აკ. ბელიაშვილის ქ. N1
სახელმიწფო ხაზინა:
ა.ა. GE24NB0330100200165022
TRESGE22

ვლადიმერ ძნელაძე

მიმწოდებელი
ი/მ მამუკა კეშელავა
ს.კ. 62007000481
მის. , ვაზისუბნის II მ/რ, კორპ. 1
ტელ. +995593345341
სს „საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
ა.ა. GE59BG0000000713649700

მამუკა კეშელავა

ხელწერილი

ქ. თბილისი

12 იანვარი 2024 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2024 წლის 12 იანვარს გაფორმებული №10.29/10/008 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ . თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის და საუბნო განყოფილებების ოფისებში გათბობა-კონდიცირების, წყალმომარაგების (ცხელი წყლის) სისტემების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს ი.მ. მამუკა კეშელავასთან მიმართებაში.

რაიონის გამგებელი

ვლადიმერ ძნელაძე

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი

თამარ მაისურაძე